№ 46

ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი 1909 წ.

# მომავალი

№ 46

ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი 1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი"

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ფასი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **ოქტომბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 2 მ. 20 კ. თფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Шрома", **Калистрату Конст. Цуладзе.**

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯევი ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო ა. გ.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტაშვილი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ., ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**პირადოვი რ. გ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—11.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ—18)

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ე. ნ. [illegible]** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—18)

## ქართული თეატრი

**შაბათს, 24 ოქტომბერს,** 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად **გრიგოლ რობაქიძისა** შემდეგ თემაზე:

## სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ლექციის დაწყების წინ ბ. ივ. გომართელი წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფიადახ სი თებას, ხოლო თავ. ნ. ერისთავი წარმოსთქვამს პოეტის რამდენიმე ლექსს.

დაწვრილებით პროგრამაში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დასაწყისი საღამოს 8 საათ.

წარმოდგენა 9. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 9.

**პირველი აბონიმენტი**

**ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება კომედია ვ. შექსპირისა

I

## ჭირვეული ცოლის მორჯულება

3 მოქ. თარ. კ. მესხისა.

II

## დედის ერთა

კომ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი, ა. შოთაძე; ბ-ნნი: გამყრელიძე, ჯედევანოვი, გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ-დან 5 მ-დე, პარტერი 2 მ. 50 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: «იმედის დაღუპვა», «ქოჩრიანი ტოროლა».

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**შაბათს, 24 ოქტომბერს** 1909 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილ იქნება:

## ტარტიუფი

კომ. 5 მოქმ. მოლიერისა, თარგმ. ივ. ძაჯ-ვარიანისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, ნოემბერს. მზადდება წარმოსადგენათ «ღალატი» სუმბათაშვილისა; «რაც გინახავს, ველარ ნახავ» ა. ცაგარლისა და სხვა.

**დაბეჯითებითა** ვსთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატა ა პავშვე ბის თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

## თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით დღეს ვ. ჩილეას **ადრიენა ლეკუვრერ** ოპ. 4 მოქმ. მუსიკალური ნაწილის გამგე ნ. ა. მიკლაშევსკი. მონაწილეობენ ქ-ნნი: ვიკშევსკაია, ვოლსკაია, კალინინა, ფერრერი; ბ-ნნი: ბორისენკო, დემიანენკო, ობრუბოვი, პევცოვი, სოკოლსკი, ხმელევი.

**ფასები ჩვეულებრივია** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ხვალ ქ. ბიზეს 1. **„მარგალიტის მაძიებელნი"**; 2. **ბალეტის დივერტისმენტი.** შაბათს, 24 ოქტ. რუჯიერო-ლეონკოვალოს **«ზაზა»**. კვირას, 25 ოქტომბერს დილის წარმოდგენა მეტათ დაკლებულ ფასებში: 1. **«სევილიელი დალაქი»**; 2. **«კოპპელია»** ბალეტი (დაიდგმება 2 მოქ.). მზადდება წარმოსადგენათ ჯ. პუჩჩინის M-me **„ბატტერფლეი"**. (0—14)

## აქციზის მომატების გამო

**ყველა თამბაქოს ნაწარმოებზე**

**50** პროცენტით და **50**-ზე მეტით და თამბაქოს გაძვირების გამო

**ბოზარჯიანცის**

ფაბრიკამ დევიზათ გაიხადა: როგორც წინათ, ეხლაც მაღალი ღირსების პაპიროსები გამოუშვას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს

**СИМПАТІЯ № 8** 10 шт. 6 к. **НАРОДНЫЯ ЭКОНОМІЯ** 10 шт. 4 к.

ასეთი უმნიშვნელო ფასის მომატებით ფაბრიკას საშუალება ეძლევა გამოუშვას მუდამ **მაღალ ღირსების** პაპიროსები და მომავალში ეცდება მათ გაუმჯობესებას, რომ ამით გაამართლოს და გაამაგროს ფირმამ თავისი დამსახურებული **ნდობა** 50 წლის განმავლობაში ჩვენი ფაბრიკის პაპიროსების მყიდველთა თვალში.

**შენიშვნა:** ამ ცნობით (და არა რეკლამით) ბოზარჯიანცის ფაბრიკას სურს გააცნოს პატივმცემული საზოგადოება საქმის ახალ, ნამდვილ მდგომარეობას.

**970 სტ. აქცზ. უსტ. ძალით, ზემოაღნიშნულ პაპიროსების მეტ ფასში გაყიდვა, რაც მათ აწერია აკრძალულია.** (10—11).

## სად. სუმბათოვოში

**ილ. ალ. საბახტარაშვილის** სახერხავმა ქარხანამ დაწვის გამო დროებით შესწყვიტა შენაკვეთის (ზაკაზების) შესრულება. თვით საბახტარაშვილი განაგრძობს ზაკაზების მიღებას, როგორც წარმომადგენელი ბორჯომის მამულის სახერხავ ქარხნისა მათი

**იმპ. უდ. დიდი მთავრის**

## მიხეილ ნიკოლოზის ძისა.

ძველ ზაკაზებსაც შიძლებისა და გვარათ დააკმაყოფილებს იმავე ბორჯომის ქარხნისაგან, ფასები იგივე დარჩება. თვით სუმბათოვოს ქარხანა ადრე იქნება აღდგენილი. პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე. ადრესი: ст. Сумбатово, Ил. Ал. Сабахтарашвили.

(3—1) მმართველი **ი. ა. ხოშტარია.**

## —იაფათ—

იყიდება **ს. ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის" რედაქციაში ს. კ—ან. 0—თ—13

თფილისის წვრილ-ვაჭართა პროფესიონალური საზოგადოების

## მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წარსული წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე 23 **ოქტომბერი**—როდესაც საზოგადოების წევრნი—ვაჭარნი **მთელი თავისი ნ. ვაჭრიდან წილს გადასდებენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოთ.** ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ კეთილ ინებონ და 23 **ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ,** რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი. (0—6)

## ბათუმში

**გაზეთ „მომავალ"-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე**

## გიორგი მახარაძესთან.

**იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ"-ში დასაბეჭდათ.**

(10—3)

**კბილის ექიმი**

## ს ვაშაყმაძე

ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

## ცოტა რამ დღევანდელ ვითარებაზე.

I

რუსეთი სასწაულების ქვეყანაა: აქ ყველაფერი შეიძლება... ეს ლოღიკურათ თუმცა აბსურდია, მარა რუსეთის დღევანდელი ცხოვრება სწორეთ ასეთ აბსურდისაგან შესდგება და ლოღიკურ ფორმულაში მისი მდგომარეობის ჩამოსხმა, ერთ ძაფზე აცმა, ფუჭი ოცნებაა. აი თუნდა, ავიღოთ ის საკითხი, რომელიც დღეს ერთ დიდ და თავსატეხ საკითხათ გამხდარა. სახელდობრ, გვაქვს თუ არა კონსტიტუცია?

მართალია, ეს კითხვა ამ ბოლო ხანებში სატახტო ქალაქებში გაჩაღებულმა საარჩევნო აგიტაციამ წამოაყენა და მასზე გაცხარებული მსჯელობა, მის გარშემო ატეხილ ორომტრიალი, სულ საარჩევნო ციებ-ცხელების ბრალი იყო, მარა ამის გარეშეც ეს კითხვა მეტათ საინტერესოა. იგი ყოველი ფეხის გადადგმაზე გიხვდება წინ, მაჯლაჯუნასავით გვაწვება გულზე და აუცილებელ პასუხს თხოულობს. მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თეორეტიულ, არამედ წმინდა პრაქტიკულ მოღვაწეობისათვის, არა მარტო მეცნიერთა და იურისტთათვის, არამედ ყველა საზოგადოებრივ ასპარეზზე მომქმედ ორგანიზაციისა, ჯგუფისა თუ კერძო პირთათვის. საშინელი წინააღმდეგობითაა სავსე ჩვენი ცხოვრება. ორ შეურიგებელ და ლოღიკურათ ერთათ წარმოუდგენელ პირობებს მოუყრია მასში თავი. დღევანდელი წყობილება ერთი მხრით ხასიათდება „ხიშტიანი" გოროდოვოის და მათრახ მოღერილი „სტრაჟნიკის" სახით, მეორე მხრით ხედავ საჯარო ლექციების, კავშირებს, არჩევნებს, დეპუტატებს და სხვ., ასეთ ევროპიულ ცხოვრების ატრიბუტებს (ნიშნებს), რაც ამ რამდენიმე წლის წინეთ ყოვლათ შეუძლებელი იყო. ძალა-უნებურათ ეკითხები შენს თავს: შეიცვალა რაიმე ამ უკანასკნელ წლებში რუსეთის ცხოვრებაში თუ არა? მივიღეთ ახალი წყობილება? თუ კი,—მაშ, ხიშტი რათ დგას ქუჩაში, ციხეები რათაა სავსე პოლიტიკური ტუსაღებით და პასპორტი რათ შეიქნა ადამიანის სამივე ნაწილის (სულის, ხორცის და საკუთარ პასპორტის) მაგიერი? თუ არ შეცვლილა, მაშ, უცენზურო გაზეთები, თუმცა ზურგზე ჯარიმა აკიდებულნი, ლექციები, არჩევნები, დეპუტატები, სახ. დუმა და სხვ. რას მოასწავებენ? საიდანაა ეს უმაგალითო წინააღმდეგობა? რანი ვართ, სად ვცხოვრობთ—კონსტიტუციონურ ქვეყანაში, თუ ძველ წყობილებაში რომელიც პეტრე დიდიდან მომდინარეობს?

ამ კითხვას ჩვეულებრივათ ორათ ყოფენ: კითხვის იურიდიულ და ფაქტიურ ე. ი., სოციალურ მხარეს ცალ-ცალკე იღებენ და სწყვეტენ. ტეხნიკური ტერმინით ამას ეწოდება საკითხის აღება დეიურე (იურიდიულათ) და დეფაქტო (ფაქტიურათ) და ორივე კითხვაზე სხვადასხვა პასუხს იძლევიან: კადეტების პუბლიცისტები იურიდიულათ კონსტიტუციას სცნობენ, მის ფაქტიურ არსებობას კი უარყოფენ. ეს ნიშნავს, რომ იურიდიულათ ე. ი. დაწერილი ნორმების და კანონების თანახმათ ჩვენ გვაქვს კონსტიტუცია, მარა ფაქტიურათ მას არ ახორციელებენ, არღვევენ, მაშასადამე, ის არ მოქმედობს ფაქტიურათ, არ ტარდება სავსებით ცხოვრებაში. ზოგნი ერთსაც და მეორესაც უარყოფენ—არც იურიდიულათაა არც ფაქტიურათო. მესამე აზრსაც შევხვდი: იურიდიულათ კონსტიტუცია არ გვაქვს, ფაქტიურათ კი ის არსებობს მაღალი კლასებისთვისო. როგორც ვხედავთ, აქ საკვირველი აზრთა არევ-დარევაა, აქ ნამდვილი ბაბილონის გოდოლის შენებაა და, რაც უფრო საკვირველია, თვითეულ აზრის დამცველს თავისი აზრის დასასაბუთებელი მასალა საკმაოთ მოეპოვება. ყველანი უთითებენ არსებულ ფაქტებზე. კადეტებს მოყავთ ციტატები ძირითად კანონთა დებულებიდან. მეორეთაც მოყავთ ციტატები და ფაქტები, მესამენიც უჩვენებენ, რომ მაღალი კლასები ფაქტიურათ სარგებლობენ მდგომარეობით და თავის სურვილს უკარნახებენ სამინისტროს, თავის ინტერესების შესაფერათ ამუშავებენ მათო და სხვა. ყველა აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა გამოდის, სახელდობრ შემდეგი: **რუსეთმა არ იცის როგორი წყობილება აქვს.** შეიძლება მეტი საკვირველება? მარა გაკვირვება საქმეს არ შველის, საჭიროა კითხვის გარკვევას შევეცადოთ და ბოლოს და ბოლოს ერთ განსაზღვრულ დასკვნას მივადგეთ.

მაინც და მაინც იმის არ ცოდნა, თუ რა უნდა ვუწოდოთ რუსეთის დღევანდელ წყობილებას, დიდი უბედურება არაა. რამდენი მეცნიერი დავობს დღესაც გერმანიაში ფედერაციაა, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირიო? მარა ფედერაციას ვუწოდებთ, თუ კავშირს, ამით გერმანიის მცხოვრებთ არაფერი დააკლდებათ და არც შეემატებათ. გერმანიის თვითეულმა მცხოვრებმა **სამაგიეროთ** კარგათ იცის, რა **უფლება** აქვს და რა მოვალეობა აწევს, შეუძლია **თითქმის** ყოველთვის წინდაწინვე გაითვალისწინოს რისთვის დასჯიან და რომელი მოქმედება სრულიად ხელ-შეუხებელია. ეს თუ ითქმის გერმანიაზე, მით უმეტეს ითქმის დასავლეთ ევროპის ისეთ სახელმწიფოებზე, როგორიც საფრანგეთი და ინგლისია.

აი ამაში იხატება კონსტიტუცია.

კონსტიტუციის არსება, მისი მთავარი დამახასიათებელი თვისება ეს უფლებრივობაა (ПРАВОПОРЯДОКЪ). არის ჩვენში ეს უფლებრივობა? აი საკითხი. როგორც ვიცით, კანონი ასე თუ ისე განსაზღვრულია. იგი ერთგვარ ფარგლებს გვიდებს და მით იგი ან ნებას გაძლევს, ან გიშლის მოქმედებას, მარა ორივე შემთხვევაში ამ ფარგლებს გიჩვენებთ და ამით შეძლებას გაძლევთ თავის მოქმედება შეუფარდოთ მას. სადაც მოვალეობა განსაზღვრულია, იქ განსაზღვრულია უფლებებიც. ჩვენში კი, არც ეს არსე-

ბობს. შენი უფლება ისაა, რასაც გიწყალობებენ. ასე რომ, ამ მხრივაც განსაზღვრული არაფერი გაქვს. მოისურვებენ, შეიკრიბები, იმსჯელებ, გადაწყვეტ აირჩევ და სხ. მოისურვებენ და თავვის სორო მოგენატრება, მარა როდის უნდა ეძიო თავვის სორო და როდის შეგიძლია თამამათ იმსჯელო, იმუსაიფო, არჩიო შენს მსგავს ადამიანებთან ერთათ, ეს კი არ იცი. ამაზე ვერც ერთი რუსეთის მოქალაქე პასუხს ვერ მოგცემს. აი ასეთ წყობილებას, როცა ადამიანის და მოქალაქის უფლებები სხვადასხვა პირების სურვილზე და სულიერ განწყობილებაზეა დამოკიდებული, არ ეწოდება უფლებრივი წყობილება, არამედ, ეს არის **თვითნებობა**. სადაც თვითნებობა მეფობს, იქ უფლებრივობა არ არსებობს. სადაც უფლებრივობას აქვს ადგილი, იქ თვითნებობა ლაგამ-ამოდებულია, იგი არ არსებობს. ჩვენში კი, ამას ვერ ვხედავთ. ცხადია, „კონსტიტუციის“ სახელს ვერ ვაკუთვნებთ დღევანდელ წყობილებას.

მარა ესაა ფაქტიურათ, როგორღაა საქმე იურიდიულათ? ამაზე შემდეგ.

რ. ა.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ოქტომბერი.

## სპარსეთი.

### სათარხანის გაქცევა

**თავრიზი.** არდებილიდან გამოქცეულებს საშიში ამბები მოაქვთ ქალაქის მდგომარეობის შესახებ. მოსალოდნელია, რომ შახსევანები აიღებენ ქალაქს და გაანადგურებენ. რუსეთის ვიცე-საელჩოს, რადგან არდებილის ციხის ახლო არის, მთელი დღე ესვრიან. არდებილის გადასარჩენათ თავრიზიდან ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი გაიგზავნა. სათარხანი არდებილიდან სერაბში გაიქცა. მას შახსევანები გამოუდგენ, მიადგენ ქალაქს და მოითხოვენ სათარხანის გაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის განადგურებით იმუქრებიან. რუსეთის საელჩოს დასაცავათ საჩქაროთ გაიგზავნა კაზაკეზი პოდესაულ ეგლოვსკის წინამძღოლობით.

### მდგომარეობა არდებილში

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ შემდეგი ცნობები მიიღო არდებილში საქმის მდგომარეობის შესახებ: ისარგებლეს რა არეულობით, კავკასიის საზღვრების ახლოს მოხეტიალე შახსევანებმა უკანასკნელ ხანებში გაახშირეს არდებილზე თავდასხმა. ზაფხულში ისინი მიუახლოვდენ ქალაქ არდებილს და თავიანთ ძარცვა-გლეჯით დროებით შეაჩერეს საქონლის გადატანა არდებილსა და ასტარას შუა. ჩვენი საელჩოს მიერ მიღებულ ზომებით აგვისტოში კაზაკების შემწეობით რამდენიმე ქარავანი გაატარეს. შახსევანები მოშორდენ ქალაქს. ოქტომბერში ისევ გავრცელდა ხმა შახსევანები არდებილზე მოდიანო. მათ შეუერთდა ყარადაღელები რახიმ-ხანის მეთაურობით. ამ ახალ გალაშქრებას პოლიტიკურ ხასიათს აძლევდენ: თითქო შახსევანები და ყარადაღელები ამხედრდენ კონსტიტუციის წინააღმდეგ და ყოფილი შაჰის დასაცავათ. გენერალ-გუბერნატორმა იქ სათარხანი გაგზავნა ფიდაებით და დაავალა წესიერების აღდგენა. მოსვლისთანავე სათარხანმა მოინდომა იარაღი აეყარა ყველა კავკასიელებისათვის და გაეძევებია იქიდან, მაგრამ არ მოხერხდა. ამ დროს არდებილს მიუახლოვდენ შახსევანები და ყარადაღელები და გზა და გზა ანადგურებდენ ყველაფერს. სათარხანის ფიდაების უმრავლესობამ თავი მიანება მას და თავრიზში დაბრუნდა. 12 ოქტომბერს რახიმ ხანი მიადგა ქალაქს და შეებრძოლა ქალაქის მცირერიცხოვან დამცველებს. სათარხანი და გუბერნატორი ქალაქის ციხეში გამაგრდენ და ქალაქი ღვთის ანაბარა დაადგეს. უკანასკნელ ცნობებით სათარხანი არდებილიდან სერაბში გაიქცა, სადაც მას შახსევანებმა ალყა შემოარტყეს და თხოულობენ მის გაცემას.

ამ ამბის გამო სპარსეთის მთავრობამ თავრიზიდან არდებილში ჯარი გაგზავნა. თავრიზის ჯარი გზაში შეჩერდა ფულისა და სამარ მასალის უქონლობის გამო, ხოლო თეირანის რაზმი კი ჩქარა ვერ მივა სიშორის გამო. ამ დროს რუსეთის ელჩმა წინადადება მისცა ყველა რუს მცხოვრებთ თავი მოიყარონ საკონსულოში, სადაც ასეული კაზაკი და ორი ტყვიის მფრქვეველი აქვთ და დასტოვონ თავიანთი ქონება სპარსეთის მთავრობის სრულ პასუხისმგებლობაში. ამასთანავე, თავრიზის გენერალურ საელჩოს გამგემ აცნობა რახიმ-ხანს, რომ რუსეთის ქვეშევრდომთა შესახებ პირადათ ის აგებს პასუხს. ვიცე-კონსულის განკარგულება სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი რადგან რუსეთის ქვეშევრდომებთან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეაფარეს თავი და ამიტომ საელჩოში ვეღარ მივიდენ.

ასეთი მდგომარეობის გამო რუსეთის მთავრობამ ზომები მიიღო გაგზავნოს საჭირო ჯარი არდებილში.

### ძარცვა-გლეჯა.

**თეირანი.** სამხრეთ სპარსეთში ძარცვა-გლეჯა თან და თან მატულობს. ისპაჰანსა და შირაზს შუა გზა ყაჩაღებმა დაიჭირეს. ამ დღეებში კაშაინცებმა (?) დეშტიარდუინში (?) გააფუჭეს ინგლისის ტელეგრაფი. ერთ დღე და ღამეს ბუშირთან დეპეშის მიმოსვლა შესწყდა. ეხლა ტელეგრაფი სუსტათ მოქმედობს.

## საზღვარ-გარეთ.

### მუშების დაღუპვა მაღაროში.

**პარიზი.** ტარონის ქვა-ნახშირის მაღაროში, კატალოფერის ახლოს უცბათ შოვარდნილი წყლით მაღაროები აივსო. გადაარჩინეს 150 მუშა. ჯერ-ჯერობით აღმოაჩინეს სამი მუშის გვამი. არა სჩანს 74 მუშა.

### მუნიციპალიტეტის არჩევნები.

**ლონდონი.** გარდა ლონდონისა ყველა ქალაქებში მოხდა მუნიციპალიტეტის არჩევნები. კონსერვატორებმა და უნიონისტებმა შეიძინეს 32 ადგილი, ლიბერალებმა 33, შრომის პარტიამ 15, დამოუკიდებლებმა 4, სოციალისტებმა 1.

### მინისტრების გადადგომა.

**ვენა.** ფრანც იოსებმა მიიღო ჩეხელ მინისტრების ჟაჩეკის და ბრავის გადადგომა და მათ ტაინი სოვეტნიკობა უბოძა. დეპარტამენტის დირექტორს დაევალა მიწათმოქმედების სამინისტროს მართვა-გამგეობა.

### ნიაღვარი.

**მადრიდი.** დიდი წვიმების გამო ესპანიის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ ნაწილში ნიაღვარმა სულ წალეკა ყველაფერი. ძლიერ დაზიანდა ქალაქები კორრუნია, ბილბაო, სატანდერა, ბარსელონა, რეუსი, ტრაგინა, კასტელიანი და სხვა.

### აჯანყების შედეგი.

**ათინა.** დეპუტატთა პალატა მინისტრ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჯარისა და ფლოტის წყალობით აჯანყება რამდენიმე საათში ჩააქრეს. მთელი ეს საქმე გადაეცა სასამართლოს, რომელიც არ დააყოვნებს დამნაშავეების სამაგალითოთ დასჯას. ყოფილმა ზღვათა მინისტრმა კუმუნდუროსმა წინადადება შეიტანა დაუყოვნებლივ დაინიშნოს ჯილდო გაქცეულ აჯანყებულთა დასაჭერათ და გაასამართლონ იმ კანონის ძალით, რომლითაც ასამართლებენ ზღვის და ხმელეთის ყაჩაღებს. ამ კანონის ძალით ყაჩაღთა ოჯახობა სხვა ადგილებში უნდა გადასახლდეს.

### სკოლა რუსეთის შესასწავლათ.

**ლონდონი.** ლივერპულის სავაჭრო პალატაში პროფესორმა პერსმა წინადადება შეიტანა დააარსონ ლივერპულის უნივერსიტეტთან რუსეთის შესასწავლი სკოლა. ცნობილმა გემების პატრონმა დეონმა ამ მიზნისათვის ხელის მოწერა გამართა. თვითონ სამი წლის განმავლობაში აღუთქვა წლიურათ ასი გირვანქა სტერლინგი.

## რუსეთი.

### სახელმწიფო საბჭო.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს სხდომა გაიხსნა გოლუბევის თავმჯდომარეობით. საბჭომ აირჩია 30 კაცისაგან შემდგარი კომისია 9 ივნისის კანონის განსახილველათ. შემდეგ განიხილა დუმის მიერ მოწონებული რამდენიმე კანონ-პროექტი.

### სასამართლო.

**სარატოვი.** ვოლსკის მაზრის გლეხთა კავშირის საქმის გამო სამოსამართლო პალატამ სამეურნეო სკოლის გამგეს მიუსაჯა ერთი წლის ციხე, მასწავლებელს სამი თვის და ხუთი გაამართლა.

დროებით სამხედრო სასამართლომ გაარჩია სარატოვის სოციალისტ-მაქსიმალისტთა ორგანიზაციის ჩვიდმეტი წევრის საქმე, რომელთაც ვაჭრის გაძარცვა და მღვდლის მოკვლას აბრალებდენ. ერთს მიუსაჯა ჩამოხრჩობა, რვას ორიდან ხუთმეტ წლამდე კატორღა და ხუთი გაამართლა.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოთ დასტოვა დუმის ყოფილ წევრთა პოვილისის, კუმელისის, გუდოვიჩის, სტარშინსკის და გლეხ რაზდევიჩის საკასაციო საჩივარი, რომელთაც სამოსამართლო პალატის მიერ რევოლიუციონურ მოწოდების გავრცელების გამო ერთი წლის ციხე ქონდათ მისჯილი.

**პეტერბურგი.** ზელემანის სახლის დანგრევის თაობაზე პასუხის გებაში მისცეს ქალაქის გამგეობის წევრი, ტეხნიკურ განყოფილების გამგე ზმეევი და ქალაქის ინჟენერი დეროშეფორი. —

სენატმა უყურადღებოთ დასტოვა გაზეთ „ნაშა ტრიბუნას“ რედაქტორ ციტრონის საკასაციო საჩივარი. ციტრონს პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ ექვსი თვის ციხე მიუსაჯა.

### ცეცხლი.

**კიევი.** ლიპოვეცკის მაზრის სოფ. ჩერეტნოში გრ. ტიშკოვის მამულში საჯინიბოს ცეცხლი გაუჩინეს. დაიწვა 108 ცხენი.

### გამოფენა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** შრომის სახლში გაიხსნა ლოთობის წინააღმდეგ გამოფენა.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 10, მოკვდა 4, ავათ არის 265.

**კენიგსბერგი.** ანდრეიშკინში ხოლერით ავათ გახდა ერთი. სკვირვისტელში ორი.

# წერილები სპარსეთიდან

II.

### ბაქოდან რეშტამდე.

4 საათის შემდეგ რუსეთის ასტარიდან გემი შეცურდა სპარსეთის ასტარისკენ და „ხალხმა“ თავისუფლათ ამოისუნთქა! თათრებს დიდი უკმაყოფილება ეტყობა რუსეთის მოხელეების... გემზე ამოვიდენ დამოჟნის მოხელენი, მათი უფროსი სომეხია (რადგან თათრებს ინტელიგენტური ძალები არ ყოფნით). მათ მიიღეს კაპიტანი... უცებ ვიღაც თათარი მოხელის ტანისამოსში გამოწყობილი ძმასავით გადამეხვია და კოცნა დამიწყო! მე უხერხულათ ვიგრძენი თავი, მარა მალე დამამშვიდა. აქ ირანია, ახლა დროებით მთავრობაა, შაჰი—გეტტი, მამყუთა—ვარ ყარდაშ, იაშასუნ იოლდაშთ! და ვიღაც ძველ პალტოიანი ინტელიგენტური შეხედულების სპარსელი წარმომიდგინა, რომელსაც რამდენიმე შეიარაღებული მუჯაიდები მოყვებოდენ.

ეს გახლავთ დეპუტატი არდაბილიდან სეით ჯალილიო! ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა! ჩემს წინ იდგა თავისუფლათ არჩეული ირანის დეპუტატი, ხალხის უფლებებით აღჭურვილი მოქალაქე... ის მიეშურება თეირანს რომ კანონების გამოცემაში მონაწილეობა მიიღოს... ამ ხალხმა მეფე გააძევა, მთელი ქვეყანა მას დაესია და ის ამაყათ დგას ქვეყნის წინაშე და თავის ნდობას მის მიერ არჩეულ კაცს აძლევს!.. გაიმართა მუსაითი. ხალხი იმედიანათ არის... ფიქრობს, მისი აზრი-გამჭრიახობა დიდი არ არის, მარა საყურადღებოა, რომ ის აზროვნობს, პოლიტიკას ეწევა, მტერ-მოყვარეს არჩევს...

როგორაა აქ საქმე—ჩემ კითხვაზე მომიგო. ქ. ასტარას აქვს შინაურ საქმეში ფართო თვითმართველობა. არის ენჯუმენი (პოლიტიკური კლუბი) 12 კაცისაგან შემდგარი, არჩეული ხალხისაგან ორ საფეხურათ, (ზოგან პირდაპირ). არჩევნებში მონაწილეობას იღებენ 16 წლის ვაჟები (სპარსეთში 16 წლის ვაჟი წლოვანია, ქალი კი 9 წლის თხოვდება). ენჯუმენი ნიშნავს მოხელეებს, კრეფავს ხარკს, ადგენს მილიციას დროებით მთავრობის განკარგულებით და ახდენს არჩევნებს, გაყავთ გზები, ადგენს კანონების გამრჩეველ კომისიას. ერთი სიტყვით, ის არის უმაღლესი დაწესებულება, ადგილობრივ გუბერნატორს კი ნიშნავს დროებით მთავრობა, მარა გუბერნატორი ესწრება ენჯუმენის კრებებს სამჯერ კვირაში და შეთანხმებულათ მოქმედებს ენჯუმენთან. გუბერნატორის მიღება-დათხოვნა ენჯუმენის საქმეა თეირანში შეკითხვით: ენჯუმენი ჯამაგირს არ იღებს...

პოლიციელი, ჟანდარმი და მუჯახიდები ღებულობენ თვეში 14 მ. და ტანისამოსს ცალკე. ომის დროს 24 მ. (აქ ცხოვრება იაფია). საცა არეულობაა, იქ აგზავნის ენჯუმენი ჯარს და ხელმძღვანელობს ხალხის ცხოვრებას. წერა-კითხვის არ მცოდნე ხალხი ასე დემოკრატიულათ განაგებს საქმეს!.. 24 სექტემბერს შევედით ქ. ენზელის ბოღაზში. ზღვა დაცარიელებულია. გემები არ ჩანან. როდესაც ევროპის რომელიმე ნავთ-სადგურს

# შეთანხმებაც ასეთი უნდა!

გაგრძელება *)

ბ. ჯორჯაძეს მოჰყავს ჩვენი სიტყვები იმის შესახებ, რომ დროა და საჭიროც განვსაზღვროთ ნათლათ, რომელია ის მუხლები (ეჰ. საკით.), რომელნიც ერთგვარათ სწყდება როგორც ს.-დემოკრატიის, ისე სოც.-ფედერალისტების მიერ, და რომელია ისეთებიც, რომელნიც სადავოთ უნდა იქნან აღიარებული ორივე პარტიის მიერ; იგივე ბ. ჯორჯაძე რამდენჯერმე კვერს გვიკრავს ამაზე და გადაჭრით აცხადებს, რომ „ეხლა გვიდგება სწორედ ის დრო, როდესაც უნდა იყოს დაწყებული ბ. ჩხენკელის მიერ ნაჩვენები კვლევა-ძიების საერთო საქმე“ („დრ“ 195). ამ სიტყვების შემდეგ სრულიად ბუნებრივია მკითხველის მოლოდინი, რომ ბ. ჯორჯაძე ეცდება ცოტა რამ წვლილი თავის მხრივაც შეიტანოს ამ „საერთო საქმეში“. ტყუილი მოლოდინია! პირიქით, ბ. ჯორჯაძე ეწევა ისეთ „ბარაქიან შრომას“, რომ „ბურუსი და გაუგებრობა“, რომელიც ასე ეჯავრება თურმე მის პარტიას, მთლათ გაბატონებულია მის ნაწერებში ჩვენს შესახებ. ზოგჯერ ეჭვიც კი გვბადება, შეიძლება ჩვენს მოკამათეს უნებლიეთ არ მოსდის ესა-თქო, მაგრამ ჩვენ ხომ ასე უდიერათ ვერ დავამცირებთ მის პირადობას. სჯობს, ისევ საქმეზე გადავიდეთ.

ნუ დაივიწყებთ, ჩვენ არა გვაქვს სახეში ამ მცირე პასუხში განვსაზღვროთ ყველა ის საერთო და სადავო მუხლები, რომელნიც არსებობენ სოციალ-დემოკრატებსა და ს.-ფედერალისტებს შორის; ჩვენ ამ საგანს ორი დიდი ფელეტონი ვუძღვენით „ეროვნულ კითხვაში“ სათაურით—„ფართო თვითმართველობა თუ ავტონომია?“. ამ დროებით საკმარისი იქნება ისიც, თუ გავითვალისწინებთ ორიოდე ხელმძღვანელ აზრებს, რომელნიც დაგვანახვებენ თანხმობა-უთანხმოების ნამდვილ ფესვებს.

როგორც ეს-დეკნი, ისე ეს-ფერნი მოითხოვენ მართვა-გამგეობის სრულ დემოკრატიზაციას. განა აქ რაა ახალი?—შეიძლება იკითხოს ვინმემ. არც არაფერი, მივუგებდით ჩვენ, მაგრამ როცა საერთო მუხლებზეა ლაპარაკი, მაშინ ამის აღიარებას განუზომელი მნიშვნელობა აქვს. თუ ორივე პარტია გადაჭრით და მტკიცეთ დასრულებულ დემოკრატიზაციის პრინციპზე არ ებჯინება როგორც ცენტრში, ისე განაპირა მხარეში, მაშინ მათი ერთობა რაიმეში მხოლოდ ყინულზე იქნება დაწერილი.

ხოლო დასრულებული დემოკრატიზაცია აუცილებლათ ვულისხმობს დეცენტრალიზაციას. დღევანდელი სახელმწიფო ძველი საბერძნეთის პატარა მორგვალებული ქალაქი როდია, სადაც დემოკრატიზმი და დეცენტრალიზმი თითქმის სინონიმები იყვენ. ეს სიმარტივე არ არსებობს დღეს. თანამედროვე სახელმწიფო იცის ორგვარი საჭიროება, გამომწვევი აგრეთვე ორგვარ მოქმედებისა: საერთო (ცენტრი) და ადგილობრივი (განაპირა). ამ საგანსაც შევეხეთ ჩვენ ორ დიდ ფელეტონში იქვე, სათაურით — „ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია?“. მაგრამ აქ ატყდება ერთი ალიაქოთი, ორივე პარტია გარბის იქითაქეთ!

ეს-დეკი არის ცენტრალისტი, ეს-ფერი არის დეცენტრალისტი; და ეს არა მარტო ტაქტიკის მხრივ, არამედ პრინციპის მხრივაც. მაგრამ პრინციპი რამე განყენებულ ჩონჩხს არ წარმოადგენს, და ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ეხება ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებას. დიდათ საყურადღებოა ვიცოდეთ, თუ რაში მდგომარეობენ ეს პრინციპები, მაგრამ ჩვენ ამას აქ ვერ გამოვუდგებით; ჩვენ შევეხეთ მათ სპეციალურათ თავის დროზე და მოვაქციეთ ერთ საერთო სათაურში—„კითხვის დასმა“. შევეხოთ სხვა უფრო მახლობელ რამეს. ეს-ფე დეცენტრალისტია, ძალიან კარგი, მაგრამ განა ეს მოასწავებს იმას, რომ ის სრულიად ე. ი. აბსოლიუტურათ უარყოფს ყოველ ცენტრალიზმს? არა, არ მოასწავებს. ის აღიარებს, მაგალითათ, რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობას; მისთვის არსებობს საერთო საჭიროება, რომელიც გულისხმობს საერთო მოქმედებას; აქედან მისი პრაქტიკული პროგრამა აღიარებს ცენტრალურ დაწესებულებათ მათი მრავალფეროვან ფუნქციებით. მაშასადამე, ეს-ფე სრულიად არ ყოფილა აბსოლიუტური დეცენტრალისტი, ეს ცნება არის და დარჩება მხოლოდ რელატივური. იგივე ითქმის უკუქცევით ეს-დეკის ცენტრალიზმზედაც. ეს-დეკიც აღიარებს ადგილობრივ საჭიროებას და მოქმედებას, რომელნიც ხორციელდებიან განაპირა მხარის დაწესებულებებში. მაშასადამე, არც ესდეკის ცენტრალიზმი ყოფილა აბსოლიუტური რამ, ის რელატივურია. მაშ, როგორ, იტყვის მკითხველი, რაშია განსხვავება? ცენტრალისტი თურმე დეცენტრალისტიც ყოფილა და ასე უკუქცევით, მაშ, საიდან გამოტყრდა ამდენი აყალ-მაყალი, მაშ, სადავო არაფერი გვქონია? და აქ ჩვენ გადაჭრით მივუგებთ: დიახაც არის სადავო და თავსამტვრევი, და ამის მიფუჩეჩება შეუწყნარებელია. რაშიც საქმე.

ჩვენს საპასუხო წერილ ში ჩვ. კვალელთა წინააღმდეგ ვწერდით: „სოციალდემოკრატისთვის სიმძიმის ცენტრი სძევს ცენტრალურ დაწესებულებებში, ფედერალისტისთვის კი ეგ სიმძიმის ცენტრი ადგილობრივ დაწესებულებებშია; პირველი ცდილობს ნაწილი მთელს შეუფარდოს, მეორე ითმენს მთელს იმდენათ, რამდენათ ეს ნაწილს შეეფერება („ჩვენი ხმა“ 16). აქედან ცხადია, რომ შეუძლებელია მათემატიკური ლარის გასმა ცენტრალიზმ დეცენტრალიზმს შუა, ისინი შეუმჩნევლათ გადადიან ერთი მეორეზე, მაგრამ ეს არ დაგვიშლის ვთქვათ, რომ ისინი მაინც სხვა და სხვა არიან. ჩვენ ვამჩნევთ თანამედროვე სახელმწიფოში ორ მიდრეკილებას: ცენტრალისტურს და დეცენტრალისტურს ისინი იბრძვიან ურთიერთ შორის, მაგრამ ბოლო არ უჩანს ამ ბრძოლას; თუ გნებავთ, ერთი მათგანი წარმოუდგენელია მეორეს უმისოთ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ერთ მათგანს უფრო ძლიერი ვუწოდოთ, მეორეს კი ხელქვეითი და ნაკლებ ძლიერი, არა იმ აზრით, რასაკვირველია, თითქო ერთს შეეძლოს მეორეს მთლათ მოსპობა. ეს-დეკი ასეთ უძლიერეს მიდრეკილებათ სახავს ცენტრალიზმს, ეს-ფე კი დეცენტრალიზმს; მეორე სათანადო და მოწინააღმდეგე მიდრეკილება ორივესთვის ხელქვეითია. მხოლოდ და მარტო ამ აზრით შეიძლება საზოგადოთ პრინციპებზე ლაპარაკი საზოგადოებრივ სფეროში, და სწორეთ ამიტომ შეიძლება დაერქვას ესდეკს პრინციპიალური ცენტრალისტი, ეს-ფეს კი პრინციპიალური დეცენტრალისტი. ჩვენ გავაზვიადეთ, მაგრამ არ ვნანობთ. ბ. ჯორჯაძეს და მის თანამოაზრეთ ხშირათ აქვთ ჩვეულებათ ეს-დეკი ხეპრე ბიუროკრატ-ცენტრალისტს მიამსგავსონ; ეს დიდი უგუნურებაა, თუ მათ ეს გულ-წრფელათ მოსდით. რა არის ბიუროკრატი? იგი არის უკიდურესი პირველ ყოვლისა: მას უნდა გააბატონოს ერთი მიდრეკილება და სრულიად მოსპოს მეორე. ეს შეუძლებელია ფიზიკურათ, მისი შესაძლებლობა თვით საზოგადოების სიკვდილს მოასწავებს. სწორეთ ამიტომ ყველაზე უფრო საშიშარი „ფანტაზიორი ბიუროკრატს დაემხება.

მაშასადამე, დეცენტრალიზმი განუყრელი, თუმცა არა თანაბრათ მნიშვნელოვანი, ნაწილია როგორც ეს-ფერის, ისე ეს-დეკის პროგრამა-ტაქტიკისა. ხოლო დეცენტრალიზმის განმახორციელებელი ფორმა ეს-ფესათვის არის ავტონომია, ეს-დეკისათვის კი თვითმართველობა. აი, აქ იყრის თავს ის „ბურუსი და გაუგებრობა“, რომლის გასაფანტავათ ჩვენ ამდენი ტყვია-წამალი დავხარჯეთ, მაგრამ სრულიად ამაოდ, ყოველ შემთხვევაში, ბ. ჯორჯაძესთვის. მისთვის თითქო არ არსებობს ჩვენი ნაწერები, რომელნიც რაც უფრო „შაბლონური“ იყვნენ ბ. ჯორჯაძესთვის, მით უფრო ადვილ შესაგნები უნდა ყოფილიყვნენ მისთვის. ის „კადნიერათ“ გაიძახის ჩვენს წინააღმდეგ „თითქო ავ-

*) იხ. „მომავალი“ № 45.

მიუახლოვდებით, გემების ტყეაო იფიქრებთ, აქ კი სიცოცხლე მკვდარია. საქონელი გადააქვთ ნავთ-სანდლებით.—ეს ამტკიცებს, თუ რა ჩამორჩენილია სპარსეთი ალებ-მიცემობაში...

ენზელის დამოჟნაშიაც უფროსი მოხელე სომხებია. ამათ შეასრულეს საზოგადო სადამოჟნო წესი და ბარგის გასინჯვის შემდეგ გავედით ნავებით მდინარე ენზელზე, რომელიც ზღვას ერთვის და რომლის ნაპირები ამწვანებულია; ეს მდინარე მდ. ვოლგას მოგვაგონებს. ამ მდინარის შუა დგას რუსეთის სამხედრო გემი ,,კრასნოვოდსკი'', რომლის ზარბაზნები და აფიცრები მრისხანეთ გასცქერიან ირანის არე-მარეს... ამ გემის აქ, ირანში ყოფნა ამტკიცებს სპარსეთის სისუსტეს და მის ყოფა-ცხოვრებას პოლიტიკური მხრივ...

ქ. ენზელი და ეს მხარე ზღვაზე დაბლა დგას. ქალაქი საუცხოვო სანახავია. ყვავილებით, ფორთოხალ-ლიმონის და აღმოსავლეთის ნაზი მცენარეებით. ეს ქვეყანა ძლიერ ნაზია, როგორც ბუნებით ისე ხალხით, რომელიც ცნობილია ძველათვე ვაჭრობა-სიმშვიდით. აქ ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა-ავაზაკობა უცნობი ხილია, მარა ჩრდილოეთი სახემლწიფოს შემოსვლამ თითქო მოწვამოსუსხა აქაურობა და რაღაც ტლანქი ძალა შემოიჭრა ამ ნაზ მხარეშიო!..

10 საათზე ნავებით ავყევით მდინარეს. მდინარის ნაპირი ჩალამ-კალამის ტყით არის შემოსილი და 8 ვერსტის შემდეგ მდინარე იმდენად ვიწროვდება, რომ ნახევრათ ტიტველი მომუშავე სპარსელები თოკით მიათრევენ ნავს ნაპირიდან. მათ შეხვდებათ ზევიდან მომავალი ნავიალაგი არ ყოფნით: ისმის გინება, ლანძღვა, მუშები ბარდებისაგან იკაწრებიან, თოკები იხლართება ხის ტოტებ-ეკალში და ადამიანი იტანჯება.

აგერ საქონლით დატვირთული ნავი დარჩენილა დაბალ წყალში და მუშები, ლაფში დაფლულები კისრამდე, ეწევიან. სახე გამხდარი მშიერ ტიტველნი გადაცვარებულან. გზებზე ვირ-აქლემების ქარავანი, ზარების წკარუნი ყურს წაგაძრობს. ალებ-მიცემობა, საქონლის გაზიდვა ამ ვიწრო კალაპოტს აფართოებს და მის დამაბრკოლებელ მიზეზებს სპობს—მას აქ ორთქლმავალი ეჭირვება, რკინის გზა უნდა, აქაური ზნე-ჩვეულება არ მოსწონს და ამიტომ ის რევოლიუციას ახდენს, ძველ ჩვეულებებს სპობს—კაპიტალიზმი ფეოდალურ წესწყობილების ალაგს იკავებს.

დიდი გაჭირვებით შევედით პია ბაზარში, სადაც ნავებით გაჭედილია მდინარე. აქ პატარა ბაზარია. 7 მან. ვიქირავეთ ეტლი. სპარსელები მიხსნიდენ ადგილ მდებარეობას, სახლები მოლობილია და მიწით შელესილი, ჩალამ-კალამით დახურული, რომლის ეზოებიდან მოსჩანან ფეხ-შიშველა, წვივ დამწვარი დედაკაცები. აგერ მოდის სპარსელი მამაკაცი, ფეხებზე ქალამანი აცვია, თავზე გახროკილი ქუდი ხურავს, პირში გრძელი ყალიონი უჭირავს; უკან მოყვება ახალგაზდა ქალი ფეხ-შიშველი, მუხლები დამწვარი, ჩამწვირული აქვს, ჩადრით სახეს იფარავს, თავზე მძიმე ტომარა აქვს სანოვაგით სავსე, რომლის სიმძიმეს კისერი მოუვრეხია საცოდავ ქმნილებისთვის. ეს ქალი შვილია თუ მოსამსახურე ამ კაცის? ვეკითხები ჩემ თანამგზავრ თათარს და მესმის პასუხი—ცოლიო!..

მთელი არე-მარე თუთის (ბჟოლის) ხეებითა სავსე და საგანგებოთ გაკეთებულ საპარკეთი—აქ დიდძალი აბრეშუმი მოყავთ და ბოსტნეულობა. ხანების სასახლიდან მოჩანს ლიმონ-ფორთოხლის ბაღები ყვავილებით სავსე... სამ საათზე ჩამოვხტი სასტუმრო ევროპაში, სადაც თანამგზავრები მიცდიდენ...

ვლ. მგელაძე.

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბები

—

✦ **სროლა და ორი კაცის მოკვლა.** 20 ოქტომბერს, საღამოს 6 ½ საათზე, კიროჩნი ქუჩაზე მაძებარმა პოლიციელებმა შეამჩნიეს 2 ახალგაზრდა, რომელნიც ამ დროს ციმას სახელოსნოდან (№ 12) გამოდიოდენ. აგენტებმა მათი შეპყრობა მოინდომეს, მაშინ უცნობებმა მათ სროლა აუტეხეს, სროლის დროს ერთი უცნობი მოკლეს, ერთიც სასიკვდილოთ დაჭრა, რომელიც საავათმყოფოში გარდაიცვალა. პოლიციის მხრივ მსუბუქათ დაიჭრა ერთი. მოკლულთ: მიხა კოხრეიძეს და მის ამხანაგ ვალ. მესხიძეს უპოვეს—პირველს, რევოლვერი და პატრონტაში 10 პატრონით და 182 მ. 20 კ. ფულათ, მეორეს—ბრაუნინგის რევოლვერი, 50 მ. ქაღალდის ფული, 30 კ. ვერცხლისა და სხვადასხვა დაწერილი შენიშვნები.

✦ **გადმოსახლებული რუსები სიღნაღის მაზრაში.** კურსკის გუბერნიის რამდენიმე რუს-გლეხის ოჯახმა საგლეხო ბანკის დახმარებით თ. ანდრონიკოვებიდან 1100 დეს. მიწა იყიდეს სიღნაღის მაზრაში 126 მ. დესიატინა. თვითონ გლეხებმა თექვსმეტ-თექვსმეტი მანეთი გადაიხადეს თითო დესეტინაში. დანარჩენ ფულში ანდრონიკოვებმა ბანკიდან მოწმობები მიიღეს. (ტ. ლ.)

✦ **ერთათ სწავლება.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება არ დართო თფილისის სათავად აზნაურო გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტს, რომ გიმნაზიაში მესამე კლასამდე ვაჟთა და ქალთა ერთათ სწავლება ყოფილიყო.

✦ **წ.-კ.-გ. საზ. გამგეობ. მორიგი კრება** მოხდება დღეს. დღიურ წესრიგში შედის. 1, განხილვა ილ. ჭავჭავაძის ძეგლის ახალ სურათებისა. 2. დ. კარიჭაშვილის მოხსენება ბიბლიოთეკის რევიზიის შესახებ. 3; კითხვა ნავთლუღში შკოლის გახსნის შესახებ.

✦ **ლექტორთა თათბირი.** ქალაქის გამგეობის შენობაში დღეს შესდგება კავკასიის შესასწავლ უმაღლეს კურსების ლექტორთა თათბირი შესახებ კურსების მომავალ მოქმედებისა. კრებას გარეშე პირებსაც შეუძლიათ დაესწრონ.

✦ **ერობა ყარსის ოლქში.** სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, ვითომ ყარსის საოლქო თათბირმა უარყო ყარსის ოლქში ერობის შემოღება. საოლქო თათბირი ერობის შესახებ ჯერ არ ყოფილა, მაშასადამე, გადაჭრილი პასუხი ამ კითხვაზე ჯერ არც შეიძლება ვიქონიოთ. საოლქო თათბირი ერობის შესახებ დაიწყება ამ თვის 30-დან.

✦ **დრამატიული საზოგადოების გამგეობის სხდომა** სამშაბათს, 19 ოქტომბერს მოხდა, რომელსაც დაესწრენ ქართველი ლიტერატორნი, დრამატურგნი და რედაქციის წარმომადგენელნი. კრებამ განიხილა საკითხი თეატრის რეპერტუარის და საზოგადოთ, ქართული თეატრის მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. ამ საქმისათვის კრებამ აირჩია წრე, რომელშიაც შედიან ლიტერატორნი, დრამატურგნი, ისტორიკოსნი და მხატვარნი. არჩეულნი არიან: ბბ. ტრ. რამიშვილი, ადამაშვილი, მეტრეველი, რობაქიძე, ს. ფირცხალავა, ნ. ლორთქიფანიძე, ილ. ზურაბიშვილი. გრ. დიასამიძე, ალ. ყანჩელი, ალ. პ. სარაჯიშვილი, სარაჯიშვილი, ზურაბიშვილი. მხატვ. თოიძე. სხვათა შორის აღინიშნა ის ფაქტიც, რომ ქართული პრესა სათანადო ყურადღებით არ ეპყრობა წარმოდგენებს. წრე იმუშავებს რეჟისორებთან ერთათ. მოკლე ხანში დაიდგმება ახალი პიესები: ,,უკვდავი ზღაპარი'' პშიბიშევსკისა, თარ. განდეგილისა ,,იმედის დაღუპვა,, და სხვა.

✦ **წერა-კითხვის სკოლა მეტეხის ციხეში.** უსწავლელ სომხებ ტუსაღებისთვის მეტეხის ციხეში არსდება წერა-კითხვის სკოლა. ენკენისთვეში გახსნილ ქართულ სკოლაში ამ ჟამათ სწავლობს 50 ქართველი ტუსაღი. ამ საქმისთვის ციხეში შემოდის შემოწირულებანი. ი. გოგებაშვილმა შესწირა სკოლას თუთხმეტთუთხმეტი წიგნი »P. C.» და „დედაენა“. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა გაუგზავნა 10 მ. დახმარება.

✦ **კავკასიის იურიდიულ საზოგადოების სხდომა** დანიშნულია პარასკევს, 23 ოქტომბერს. კრების დღიურ წეს-რიგში შედის: 1. საკითხი ბიბლიოთეკის გამგის არჩევა და 2. მაჩაბლიშვილის ცნობები შესახებ ფ. ლისტას მოხსენებისა: „დანაშაული, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა“.

✦ **სახალხო სახლში** კვირას, 25 ოქტომბერს, შახნაზაროვი და გვაზავა წაიკითხავენ ლექციებს. გვაზავას ლექციაა „საერობო თათბირის შედეგები“.

✦ **რკინის გზის ახალი ლიანდაგი.** ინჟენერთა ერთმა ჯგუფმა უკვე დაამთავრა მიდამოების დათვალიერება ბორჯომიდან ალექსანდროპოლამდე რკინის გზის გასაყვანათ.

✦ **სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტმა** მოხსენება დაამზადა ამიერ კავკასიაში სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ინსტრუქტორების რიცხვის გადიდების შესახებ. მოხსენებას სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენენ.

✦ **წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნება ვ. შექსპირის კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ თარგმ. კ. მესხისა და კომედია 1 მ. „დედის ერთა“, რომელშიაც იათთმის როლს შეასრულებს მსახიობი კ. შათირიშვილი. ამ წარმოდგენიდან იწყება აბონიმენტები.

✦ **სკოლის გახსნის ნებართვა.** სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო ექიმ ი. ვ. ტროპინს გახსნას დაბა გუდაუთში მე-2 ხარ. პირველ დაწყებითი კერძო სასწავლებელი ქალთა და ვაჟთათვის.

✦ **სასამართლო.** ორშაბათს, 18 ოქტომბერს, თფილისის სამოსამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით დახურულ კარებში გაირჩა საქმე სომეხ-გრიგორიანის მღვდლის არუტინ დჯუგურიანცისა, რომელსაც ბრალდებოდა მთავრობის და თანამედროვე სახელმწიფო წეს-წყობილების საწინააღმდეგო შინაარსიან თხზულების შედგენა. ბრალდებულს ასამართლებდენ 132 სტ. 1 მუხ. ძალით. პალატამ გაამართლა დჯუგურიანცი, რომელსაც იცავდა ნაფიცი ვექილი იონესიანცი.

✦ **სკოლა აჭარაში.** წ. კ. გ. საზ. მოავარმა გამგეობამ წინადადება გაუგზავნა წ. კ. საზ. ბათუმის განყოფილებას, რათა მან ადგილი მოძებნოს აჭარაში ქართველ-მაჰმადიანებისთვის სკოლის ასაგებათ, რისთვისაც გამგეობამ 400 მ. შეწეონა აღუთქვა. ეს სკოლა ბათუმის განყოფილების გამგეობაში იქნება.

# ქალები ერობაში

—

საგუბერნიო საერობო თათბირი თფილისში დასრულდა. თათბირმა სხვა კითხვათა შორის მიიღო ფორმულა წამოყენებული თათბირის წევრის ბ. ხატისოსის მიერ, რომელშიაც ნათქვამია, რომ ქალებს ეძლევათ უფლება კაცებთან ერთათ პირადათ მიიღონ მონაწილეობა საერობო დაწესებულებაში. ეს საკითხი მეტათ მწვავე საკითხია დღეს რუსეთში და არა ნაკლებ ევროპაშიაც. ერობაში ქალების მონაწილეობის მიღება, ქალთა უფლებრივათ გათანასწორება არაა ახალი კითხვა დღეს იქ, სადაც ქალთა მოძრაობამ ღრმათ გაიდგა ფესვები. იქ, სადაც შეგნებული ქალები ცდილობენ მონობის ჯაჭვის დამსხვრევას. აქ, კავკასიაში, კითხვა მეტათ ახალი და ნორჩია. ამიტომ კავკასიელი ქალების ხმა არსად გაისმოდა, არ დაძრულა არც პეტიცია, განცხადებები ისე, როგორც ასეთ შემთხვევაში იქცეოდენ რუსის ქალები. მარა აქედან იმ დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება, ვითომ კავკასიელ ქალებს არ შესწევდეთ უნარი მამა-კაცებთან ერთათ იმუშაონ და აღორძინონ საერთო საქმე და შევიდენ საერობო დაწესებულებებში.

ქალთა აქტიური ხმა რომ არსაიდან ისმოდა, ამიტომ იყო, რომ ამ-ხანათ მამაკაცებმა დაიწყეს ლაპარაკი ქალთა უფლებებზე საერობო თათბირზე. ერთ ხანს ბედი არ უღიმოდა ქალთა უფლების საკითხს თათბირზე, მარა ბოლოს მაინც თათბირმა ხმის უმეტესობით მიიღო ფორმულა, რომელიც უფლებებს ანიჭებს კავკასიელ ქალებს იყვენ არჩეულნი და ირჩევდენ თავიანთ წარმომადგენლებს საერობო დაწესებულებებში. ქალებისათვის უფლების მინიჭების წინააღმდეგ მთელი თავისი ენერგიით გაილაშქრა თათბირის წევრმა ბ. გვაზავამ. „ჩემზე საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს ქალების ხმის მიცემა“-ო—ამბობს ბ. გვაზავა, თუმცა წინათ მზათ იყო, სანამ ამ კითხვას კენჭს უყრიდენ, მიენიჭებია ქალთათვის უფლება, მე მზათ ვარ, განაცხადა მან ნაზი ღიმილით, რომ ჩვენს „მშვენიერ, ნახევარ ნაწილს საზოგადოებისას“ უფლება ჰქონდესო. ხოლო, როცა კი საკითხს კენჭი უყარეს, მან თავი შეიკავა და ხმა არ მისცა. ბოლოს თავი ვერ შეიკავა და მკვახეთ აღიარა: „ამ საკითხის მიღებით ჩვენ ვერ დავიჭირეთ პოლიტიკური ეგზამენიო“. რატომ შეაშინა ქალთა უფლების საკითხმა ბ. გვაზავა და კომპანია? ნუ თუ გონიათ, რომ აქ კავკასიელ ქალებში არ მოინახებიან პოლიტიკურათ „ეგზამენ დაჭერილები“! ნუ თუ დღეს განათლებულ ადამიანებისთვის ქალთა უფლების მინიჭება რაიმე ეჭვს უნდა ბადებდეს? გადაიხედეთ აქ, ჩვენს პატარა სამშობლოში,—განა ცოტა ქალები იღწვიან და შრომობენ საზოგადო ასპარეზზე, განა ბევრი ჩვენი შკოლები ქალაქებში და სოფლებშიაც ქალების ხელმძღვანელობით არ ფენენ შუქს ჩვენს სიბნელეს, განა ცოტანი გვყავს ექიმები და სხვა ასპარეზზე მომუშავე ქალები?! ნუ თუ ჩვენ, ქალები ვერ შევძლებთ საჭირ-ბოროტო კითხვების აწონ-დაწონვას?! ნუ თუ ქალები არ ითმენენ ათასნაირ გაჭირვება-უბედურობას? ქალის მონური მდგომარეობა, მისი დამოკიდებული პირობები აორკეცებს ქალთა გაჭირვებას როგორც სოფლათ, ისე ქალაქებშიც. ბ.ბ. სტკბებით ქალების ხელოვნებით, მუსიკით, ნაწერებით; ისვენებთ და ჰპოებთ სულის სიმშვიდეს ქალის მოწყობილ ოჯახში, ამაყობთ იმ დედებით, რომლებიც უზრდიან კაცობრიობას სასარგებლო წევრებს და ამავე დროს კი გაიძახით იმ „საშინელ შთაბეჭდილებაზე“, რომელსაც ახდენს თქვენზე იმავე ქალების ცოტა რაიმე უფლების მინიჭებაც-კი. ესაა თქვენი სამართლიანობა? თქვენ ლაპარაკობთ ერობის სარგებლობაზე ჩვენი სამშობლოსთვის, ლაპარაკობთ მუშებზე, გლეხებზე*) და ქალები კი გავიწყდებათ! აძლევთ მათ უფლებას იმსჯელონ, ილაპარაკონ თავიანთ ჭირ-ვარამზე და დედებს, ცოლებს და დებს კი მონებათ სტოვებთ. ერთ ოჯახში ნახევარს ათავისუფლებთ და მეორეს კი მონათ სტოვებთ და გზას უსპობთ. იქნება იმის გეშინიათ, რომ ცოტანი არიან? მარა ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ სულ არ არიან. თუ ერთხელ არ შესდგა ფეხი საზოგადო საქმეში ქალმა, მაშ, როდემდის უნდა უცადოთ. ხომ უნდა დაიწყოს ადრე თუ გვიან მუშაობა? რაც ადრე მოხდება ხომ მით უკეთესია? ეს ხომ უფრო დააჩქარებს ჩვენს წინმსვლელობას სინათლისაკენ...

რუსეთში დიდი ხანია იბრძვიან ქალები უფლებისათვის საზოგადოთ და კერძოთ კი თვითმართველობაში და ერობაში უფლებისათვის. 1904 წელს და კიდევ უფრო ადრეც მრავალმა ერობამ მიიღო თავიანთ თათბირზე ქალთა უფლების მინიჭების გადაწყვეტილება, მაგ. პოლტავაში, მოსკოვში, ჩერნიგოვის, ტავრიდის და სხვა მრავალ ალაგას. 1905 წელს ხომ საზღვარი არ ქონდა პეტიციებს, მიტინგებს და განცხადებებს ყველა დაწესებულებაში, ყველგან, ძალით თუ ნებით, შედიოდენ ქალები და მოითხოვდენ ერობაში და თვითმართველობაში ხმას. ჯერ, მარტო ერთმა ქალთა ორგანიზაციამ პეტერბურგში 398 თხოვნა შეიტანა ერობაში და 108 ქალაქის თვითმართველობაში, დაგზავნა 6000-მდე მოწოდებები სხვადასხვა დაწესებულებებში, რომ მხარი დაეჭირათ უფლებისათვის ბრძოლაში, მარა ეს საკითხი ისევე დარჩა გადაუწყვეტელი რუსეთში, როგორც მრავალი სხვა საჭირ-ბოროტო საკითხები. ეს მრავალ-მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდება მაშინ, როცა გადაწყდება ის საკითხებიც, რომელიც თვით ცხოვრებამ წამოაყენა წინ და მოითხოვს მის აუცილებელ გადაჭრას.

ევროპაში კი ზოგ ალაგას ქალაქის თავებათაც არიან ქალები, მაგალითად ამერიკაში, ორი-სამი კანტონის გამონაკლით. ქალებს დიდი ხანია ერობაში თვალსაჩინო თანამდებობები უჭირავთ და ეს უფლება ჯერ კიდევ 1887 წელს მია-

*) ასეთი პირები არც მუშების და არც გლეხებისთვის იტკივებენ თავს და არც რამე ემტებათ მათთვის, როგორც ეს დამტკიცდა იმავე თათბირზე წვრილი ერთეულების კითხვის განხილვის დროს და სხ. რედ.

---

ტომია ერთხელ და სამუდამოდ მეცნიერების მხრივ განსაზღვრული მცნება არ იყოს ს.-ფედერალისტების სახელმძღვანელოდაც და ბ. ჩხენკელის შესათვისებლადაც“ („დრ.“ 196). დავუშვათ, ეს ასეა, ჩვენ მართლაც არ გვესმის, რა არის ავტონომია, მაგრამ სადაა ბ. ჟორჟაძის მადლიანი ცდა ჩვენდა „გასანათლებლათ“? რატომ არ გაფანტა მან ეს ბურუსი, თუ მას მართლა „შეთანხმება“ და „სადავო მუხლების“ გარკვევა აინტერესებდა. ის „ამოტუზია“ მხოლოდ და მარტო ჩვ. კვალელთა კრიტიკას ჩვენს წინააღმდეგ და აი რით მოაქვს მას თავი! მაგრამ ესეც ბუნებრივათ გვეჩვენება ჩვენ: ჩვ. კვალელმა ამხანაგმა, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ეს, გაცილებით მეტი სერიოზობა და გამჭრიახობა გამოიჩინა ჩვენს წინააღმდეგ, ვინემ ბ. ჟორჟაძემ. უკანასკნელი კრინტსაც არ სძრავს ჩვენს „დაგვიანებულ პასუხზე“, სადაც დავარღვიეთ, ან კიდევ აღვადგინეთ ჩვენი ნამდვილი აზრები, ჩვ. კვალელის შენიშვნების მიმართ. კიდეც ამიტომ ბ. ჟორჟაძე მედიდურათ იმეორებს იმას, რაც მის ადრე ჩვ. კვალელმა სთქვა და რასაც მის ადრე ჩვენ უკვე შევეხეთ ვრცლათ. შესაძლებელია ბ. ჟორჟაძეს წაკითხულიც არ ჰქონდეს ეს ჩვენი „დაგვიანებული პასუხი“, მაშინ ჩვენც ვერ დავსწამებთ მას რაიმე ცუდ განზრახვას, მხოლოდ ერთი რამ მაინც ითქმის, სახელდობრ ის, რომ ის ძალიან დაუდევარი მწერალი ყოფილა.

ჩვენ შეგვეძლო მარტო ამ შენიშვნით გაგვეთავებია ავტონომიაზე ბაასი, რადგან ბ. ჟორჟაძე ჭეშმარიტათ მეტის ღირსიც არაა, მაგრამ ჩვენ უკვე შევპირდით მკითხველს მოგვეყვანა ზოგი ხელმძღვანელი აზრები... მაშ, განვარჩიოთ.

ავიღოთ ავტონომია მისი ძველი და არსებითათ ახალი მნიშვნელობით, რა არის ის? თვითკანონდება (Seblstqetzqebunq). რას ნიშნავს ეს? იმას, რომ რომელიმე მხარის მცხოვრებნი თვითონ კანონმდებლობენ დამოუკიდებლათ, პირდაპირ თუ არა-პირდაპირ,—იმის მიხედვით დემოკრატიულია ის თუ არა დემოკრატიული. მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ავტონომია სახელმწიფოს ნაწილია. მაშასადამე, არსებობს სახელმწიფოს საერთო საჭიროება-მოქმედება, არსებობს ავტონომიურ ერთეულის საჭიროება-მოქმედება. აქედან გასაგებია თავის თავათ, რომ ავტონომია შეიცავს თავის საკუთარ სფეროს თვითმოქმედებისა, და ეს თვითმოქმედება კი გამოიხატება საკუთარ კანონდება-აღსრულებაში. ახლა აიღეთ სწორათ გაგებული, ეს-დეკის მიერ მიზანში ამოღებული თვითმართველობა, რას მოასწავებს ის? იურიდიული მეცნიერება ჩვეულებრივ (სპეციალურ-კონკრეტიულ შემთხვევებში ის ხშირათ სტოვებს ამ გზას) არ აკუთვნებს თვითმართველობას კანონმდებლობას, ის ეძახის მისგან გამოცემულ სავალდებულო რამეებს განკარგულებათ (Vorschriften). ჩვენ არ ვეთანხმებით ამ განმარტებას ორი მოსაზრებით. პირველათ, რამდენათ თვითმართველობის მიერ გამოცემული განკარგულება დამოუკიდებლათ საზღვრავს ადგილობრივ საჭიროება-მოქმედებას და აქედან სავალდებულოა ყველასთვის, იმდენათ ის კანონია, არც მეტი არც ნაკლები. მეორეთ, ჩვენ არ უნდა ვიყოთ მიჯაჭვული ოფიციალურ მეცნიერებისაზე. უკანასკნელის განმარტება იქიდან მომდინარეობს, რომ არსებობენ თანამედროვე ცხოვრებაში ისეთი თვითმართველობანი, რომელნიც მხოლოდ სახელით არიან ასეთნი, ნამდვილათ კი აღმასრულებელ ძალის უბრალო ბიუროს წარმოადგენენ; რომელთა „დამოუკიდებლობა“ ხშირათ დაცინვაა და—უკეთეს შემთხვევაში შეზღუდული და უსრულო. აქედან თავის თავათ გასაგებია, თუ ჩვენ განვაცხადეთ, რომ ოფიციალური მეცნიერება ჩვენს ფართო თვითმართველობას სახეში არ ღებულობს, და ამიტომ მისი განმარტება კანონმდებლობაზე საკმარისათ არ მივიჩნიეთ. ბ. ჟორჟაძე დავლურს უვლის ამის შესახებ, მაშ დავუკრათ ტაში! არ იცის ჩვენმა მხიარულმა მოკამათემ, რომ თანამედროვე კანონდებაში და მის კომენტარიებში ბევრი ისეთი არ მოიპოვება, რაც უკიდურეს პარტიისათვის დღესვე (არა ხვალ) სასურველია და მისასწრაფავი. და აი, ასეთი მისასწრაფავი თვითმართველობაა ესდეკის თვალში ის, რომელიც საკუთარ სფერაში კანონმდებელიც არის და აღმასრულებელიც. ერთიც უნდა აღვნიშნოთ აქვე ბ. ჟორჟაძეს გასამართლებლათ. ჩვენი სოციალდემოკრატია უმეტეს შემთხვევაში ხელმძღვანელობდა სწორეთ ამ ოფიციალურ მეცნიერების ტერმინოლოგიით და მის ფართო თვითმართველობას არ აკუთვნებდა კანონმდებლობას საკუთარ სფერაშიც. ეს ნათლათ გამოსჭვივის ს.-დ. მეორე სიეზდის დებატებიდანაც. ჩვენც სწორეთ ამ „ბურუსის“ გაფანტვა განვიზრახეთ, სხვათა შორის, «ეროვნულ კითხვაში».

მაგრამ გაიგო ეს თუ არა ჩვენმა მოკამათემ? სრულიადაც არა.

აკ. ჩხენკელი.

(შემდეგი იქნება)

ნიჭეს ზოგიერთმა შტატებმა. ქალების მოღვაწეობამ იქ დიდი ნაყოფი გამოიღო. ავსტრალიაში და „პატარა სამოთხე“—ახალ-ზელანდიაში ჯერ კიდევ 1893 წელს მიანიჭა პარლამენტმა ქალებს პასიური და აქტიური უფლება ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში. თვითმართველობაში ხომ წინათაც იღებდენ მონაწილეობას. როგორ გამოიყენა ქალებმა ეს უფლება? მიჟუევი თავის წიგნში „ქალთა საკითხზე“ ამბობს: „იმ დღიდან, რაც ქალები პოლიტიკაში ჩაერიენ, იმის შემდეგ იწყება ზელანდიის აყვავება. იმათ ჩარევის შემდეგ გადაწყდა ისეთი საყურადღებო საკითხი, როგორიც არის მაგალითათ კანონი ქალების ინსპექტორებათ დანიშვნისა, ფაბრიკ. ინსპექ. სულით ავათმყოფთა სახლებში და სხვა საზოგადო დაწესებულებებში, ახალი სასტიკი კანონის შემოღება მაგარი სასმელების გაყიდვის წინააღმდეგ, ქალების დაშვება ვექილებათ, კანონი ბავშვების დაცვის შესახებ და სხვა მრავალი“.

ასეა საქმე იქ, სადაც შეიგნეს ეს უბრალო ჭეშმარიტება და ასე იქნება ჩვენშიაც, მიუხედავათ ბ. გვაზავას და მისი კომპანიის ცდა-მეცადინეობისა.

ქობრიანი ტოროლა

# უკანასკნელი ფოსტა

## ოსმალეთი

**საბერძნეთის კრიზისი.** სამხედრო კავშირის წევრთა შორის მოსალოდნელია განხეთქილება. ზოგიერ აფიცერთა ჯგუფი, პოლკოვნიკ ზობრასის მეთაურობით უთველ დონეს ხმარობს, რომ კრიზისი მშვიდობიანათ დააბოლოვონ. ზოგიერებს ხელს უშლის მაიორ სიმვრაკაკისის პარტია, რომელიც დაუყონებლივ მოითხოვს შემდეგი პუნქტების შესრულებას: 1) მთავრობის გადაყენება და ყველა უცხო სახელმწიფოთა ელჩების უკან გაწვევა, 2) დიქტატურის შემოღება, 3) დატუსაღება იმ დეპუტატებისა და აფიცრების, რომელნიც თავის ნებით დიქტატურას არ დაემორჩილებიან, 4) ახლანდელი სამეფო დინასტიის სახელმწიფო საქმეებიდან მოშორება. დინასტიის დღეები დათვლილია, თუ კრიტოსის საკითხი საბერძნეთის სასარგებლოთ არ იქნა გადაჭრილი. გაზეთები საჭირ-ბოროტო კითხვებზე ხმას ვერ იღებენ, ვინაიდან სამხედრო კავშირისაც ეშინიათ და მთავრობისაც.

## რუსეთი

**დეპუტატების გაჩხრეკა.** მუსულმანთა ფრაქციის დეპუტატებმა თუქაევმა და ტევკელევმა დუმის თავმჯდომარეს მიმართეს წერილით, სადაც აწერილი აქვთ უთველივე, რაც მათ ნიჟნი-ნოვგოროდში ყოფნის დროს თავს გადახდენიათ. დეპუტატები კერძო პირთან სტუმრათ ყოფილან სხვებთან ერთათ. ღამით ამ ბინაზე პოლიციელები მისულან და დამსწრეთათვის გაჩხრეკა დაუპირებიათ. დეპუტატებს თავიანთი ვინაობის დამამტკიცებელი საბუთები წარუდგენიათ და პოლიციელებისათვის გაჩხრეკის ნება არ მიუციათ. პოლიციის წარმომადგენლებს დიდ ხანს ქონიათ მოლაპარაკება ამის გამო და ბოლოს ყოველივე უცნობებიათ გუბერნატორისათვის. პასუხის მიღების შემდეგ მათ დეპუტატებისათვის განუცხადებიათ: უსათუოთ უნდა გაგჩხრიკოთ, ამაზე ჩვენ გუბერნატორისაგან მივიღეთ განკარგულებაო. ამის შემდეგ დეპუტატები გაუჩხრეკიათ და მათთვის ბევრი საქმის ქაღალდები ჩამოურთმევიათ.

**„ჭეშმარიტთა კავშირში“.** „რუსკ. ზნამიას“ გამომცემელი პოლუბოიარინოვს ქალი უმთავრესი საბჭოს თავმჯდომარის ადგილს სამთო ინსტიტუტის სტუდენტს, სოკოლოვს უთმობს. 1 ნოემბერს პეტერბურგში დუბროვინს ელიან. კავშირის წევრებს გადაუწყვეტიათ დუბროვინი კავშირის საპატიო თავმჯდომარეთ აირჩიონ იმ „ღვაწლისათვის“, რომელიც მას სამშობლოს წინაშე მიუძღვის. კავშირს რამოდენიმე კრება გაუმართავს, რომელზედაც მსჯელობა ჰქონიათ მებრძოლი რაზმების ხელ-ახლა შეიარაღების შესახებ.

**მემარჯვენენი ფინლიანდიის შესახებ.** მემარჯვენეთა ფრაქციის არაჩვეულებრივ სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენება ფინლიანდიის საქმეების შესახებ. ფრაქციამ დაადგინა დაუყონებლივ გაგზავნოს ფინლიანდიაში დუმის სამი წევრი ცნობების შესაკრებათ,—მართლა მზადდება ფინლიანდიაში შეიარაღებული აჯანყება თუ არა.

**მუსულმანების ჩივილი.** დუმის მუსულმანთა ფრაქციის დეპუტატს, თუთაევს ორენბურგის, უფის და ყაზანის თათრებისაგან საჩივარი მიუღია. თათრები ადგილობრივ სამღვდელოებას უჩივიან: ხელს გვიშლის მართლმადიდებლობიდან ჩვენს ძველ სარწმუნოებაში გადასვლაზეო.

**პროგრესისტების გამარჯვება.** ჟიტომირში ამ დღეებში ქალაქის თვითმართველობის წევრთა არჩევნები მოხდა. ადგილობრივი „ჭეშმ. რუსთა“ კავშირის წევრები წინდაწინვე შეუდგენ სამზადისს, მაგრამ მათმა აგიტაციამ უნაყოფოთ ჩაიარა. ყველა არჩეულები პროგრესისტები არიან.

**„ბოსიაკების“ მამა.** ხერსონში 14 ოქტომბერს გარდაიცვალა ღრმათ მოხუცებული ქალაქის თვითმართველობის ხმოსანი პოპოვი. განსვენებულს ანდერძი დაუტოვებია, სადაც სურვილს გამოსთქვამს, რომ მის გასვენებაზე კუბო და ბაირაღები „ბოსიაკებმა“ მიიტანონ საფლავამდე. „ბოსიაკებს“ პოპოვი თურმე ძალიან უყვარდათ. პოპოვი ვექილი იყო და გამოჩენილ ცივილისტათ ითვლებოდა.

**ექს-შახი.** 13 ოქტომბერს ექს-შახს უბედურობა შემთხვა. როდესაც აბანოდან გამოდიოდა, მარმარილოს კიბეზე ფეხი დაუსხლტა და დაეცა. დაცემის დროს ხელი და ფეხი იღრძო. იმ წამსვე ექიმი მოიყვანეს, რომელმაც შახს დახმარება აღმოუჩინა. მთელი დღის განმავლობაში შახი ლოგინში იწვა და არავინ არ მიუღია.

**გლეხ დეპუტატების კრება.** 14 ოქტომბერს მოხდა გლეხ-დეპუტატების კრება. მოწვეულნი იყვნენ ყველა დუმის წევრი გლეხები განურჩევლათ პარტიული მიმართულებისა. კრებაზე განსახილველი იყო პროგრამა, რომელიც ახლათ შედგენილმა ჯგუფმა უნდა მიიღოს.

**მემარჯვენენი და ხომიაკოვი.** უკიდურეს მემარჯვენეებს ხომიაკოვი აღარ სურთ თავმჯდომარეთ. მათ გადაუწყვეტიათ ოქტომბრისტებთან მოლაპარაკება გამართონ, რომ ხომიაკოვის მაგიერ მათ როდზიანკოს კანდიდატურა წამოაყენონ. იმ შემთხვევაში, თუ ოქტომბრისტები ხომიაკოვის გამოცვლაზე არ დათანხმდებიან, მემარჯვენეებს აზრათ აქვთ თავმჯდომარის ადგილზე ლვოვი გაიყვანონ.

**გაპონი.** „გ. მ.“ პოლტავიდან დეპეშით შემდეგს ატყობინებენ: ქალაქში ხმები გავრცელდა, რომ გაპონი ცოცხალია და პოლტაველ ნაცნობებთან მიწერ-მოწერაც აქვსო.

## საზღვარ-გარეთ

**ს.-დ. გამარჯვება.** გასულ კვირაში ბერლინის ოთხ საარჩევნო ოლქში დამატებითი არჩევნები მოხდა. სამ ოლქში სოც.-დემოკრატების კანდიდატებმა გაიმარჯვეს. მეოთხეში „პერებალატიროვკა“ მოხდება. მოსალოდნელია იქაც სოც.-დემოკრატების გამარჯვება.

**ფერერის ანდერძი.** ჟორესმა თავის გაზეთში გამოაქვეყნა ფერერის ანდერძი უკანასკნელი იწყება პროტესტით იმ უსამართლობის გამო, რომელიც ისპანიის მთავრობამ ფერერისადმი გამოიჩინა. ფერერი დარწმუნებულია, რომ მისი უდანაშაულობა მალე გამოაშკარავდება. ის სურვილს გამოსთქვამს, რომ მისი სიკვდილის გამო პოლიტიკური დემონსტრაციები არ იქნას გამართული. ერთ თავის მეგობარს ფერერმა დიდძალი ფული დაუტოვა „თანამედროვე სკოლების“ ნივთიერი მდგომარეობის უზრუნველ-საყოფათ.

# პროვინცია

**ს. მარტვილი** (სენაკის მაზრა). ოქტომბრის პირველ რიცხვებში ადგილობრივმა მამასახლისმა პეკ. გაბისონიამ მოიწვია საზოგადოების ყრილობა და გამოუცხადა: „უნებლიეთ“ შემომხარჯვია თქვენი ფული 517 მანეთი ისევ თქვენი „საჯი ოვბისათვის“, დღემდის მე თქვენთვის მზრუნველობა არ დამიკლია, ერთგული მამა ვიყავი თქვენი, ახლა ჩემს მდგომარეობაში შედით და გაჭირვებიდან დამიხსენითო. ხალხი თავზარ დაცემული უსმენდა მამასახლისის უტიფარ სიტყვებს და პასუხს ვერ ახერხებდა. ამ დროს წინ წამოდგენ მამასახლისის დამქაშები და დაიწყეს: ეს ჩვენი ბეკოა, ვაპატიოთ ეს ფულები, შემდეგში აღარ დაემართება ასეთი საქმეო. ხალხი ბოლოს იძულებული გახდა დაეთანხმებულიყო და ერთხელ დიდის ვაი ვაგლახით გადახდილი ფული ხელმეორეთ უნდა გადაეხადონ.

— აქაური ერთ-კლასიანი საქალებო სასწავლებელი ორ-კლასიანათ გადაკეთდა; ჯამაგირი მასწ. ქალს სამასი მანეთი დაენიშნა იმ ფულებიდან, რომელიც დღემდის საზოგადოებისაგან ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლის ზედამხედველს ეძლეოდა, ამ უკანასკნელს კი სამოსწავლო მთავრობამ ოთხასი მანეთი დაუნიშნა. ამ ნაირათ, საქალებო სკოლის შენახვისათვის საზოგადოება ახალი ხარჯისაგან თავისუფალია.

— აქაური ფოსტის განყოფილება, რომელსაც საზოგადოება თავის ხარჯით ცხრა წელიწადს ინახავდა, 5 ოქტომბრიდან მთავრობამ მიიღო; ამასთან მთავრობის მიერ ნება დართულ იქნა ფოსტის განყოფილებასთან გაიხსნას ტელეგრაფის განყოფილება, თუ კი საზოგადოება იკისრებს მთავრობისათვის საჭირო მასალების ჩაბარებას. არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც მიენდო საჭირო წყაროს გამოძებნა. გლეხობა აღტაცებით ეგებება ამ ფრიად სასარგებლო საქმის განხორციელებას და თავის უკანასკნელ გროშს არ იშურებს. მხოლოდ, სამღუხაროთ, სამღვდელოება და თავად-აზნაურობა ხმასაც არ იღებს ასეთ სასარგებლო საქმისთვის. თითქო მათთვის არც ფოსტა იყოს საჭირო და არც ტელეგრაფი. ან კი რა ენაღვლებათ: გლეხები გააკეთებენ და თვითონ კი ისარგებლებენ. არჩეულმა კომისიამ 13 ოქტომბერს ამ საქმის დასაბოლავებლათ ადგილობრივი ვაჭრები და ინტელიგენცია მოიწვია; კომისიამ დამსწრეთ გააცნო თუ რა გააკეთა მან დავალებულ საქმისათვის, აღმოჩნდა, რომ ფული შეეგროვებინათ ხუთას მანეთამდის, ხოლო რადგან ეს თანხა დაწყებულ საქმეს არ ყოფნიდა, კომისიამ ვაჭრებს დახმარება სთხოვა. ვაჭრებს გამოესარჩლა მამასახლისი და ამტკიცებდა, რომ ფულით შეწევნა მათ არ შეუძლიათო. (ეს ის მამასახლისი გახლავს, რომელმაც გლეხებს 517 მ. ასწაპნა). მიუხედავათ ამ არა მკითხე დამცველისა, ვაჭრებმა და რამდენიმე აზნაურმა დახმარება აღუთქვეს.

დამსწრე.

# უცხოეთი.

**ბრძოლა საერო სკოლასთან.**

ამას წინეთ საფრანგეთის სამღვდელოებამ მოწოდება გამოსცა, რომლითაც მართლმორწმუნე კათოლიკებს მოუწოდებდენ ბრძოლა გამოეცხადებიათ საერო სკოლებისათვის; საერო სკოლები მათი აზრით ახალთაობას რყვნის. მოწოდებაში სამღვდელოება ურჩევდა ხალხს შვილების სამღვდელოების სკოლებში მიცემას, სადაც ახალთაობა ღვთის სიყვარულს და სარწმუნოების ერთგულებას სწავლობს. უკანასკნელათ გრენობლსკის ეპისკოპოსმა ანრიმაც ასეთივე მოწოდება გამოსცა, სადაც ჩამოთვლილია ყველა ის სასჯელი, რომელიც თან მოყვება წინათ გამოცემული მოწოდების აუსრულებლობას. სხვათა შორის მოწოდებაში ნათქვამია: „იმ მშობლებს, რომლებმაც ყური მოიყრუეს და ჩვენი მოწოდება განზრახ არ ისმინეს და არ შეასრულეს, ჩვენ არ შევუსრულებთ არც ერთ მღვდელ-მოქმედებას და არც საზიარებლათ დავუშვებთ ეკლესიებში“-ო.

—

**რუსეთ-ბავარიის ხელ-შეკრულება.**

რუსეთ-ბავარიის მთავრობათა შორის დადებულია ხელ-შეკრულება, რომლის ძალითაც ბავარია მოვალეა ზოგიერთი პოლიტიკური დამნაშავეები გადასცეს რუსეთის მთავრობას. ამის შესახებ ბავარიის ლანდტაგში ლიბერალური პარტიის წევრმა გიუნტერმა შეკითხვა შეიტანა. მისი აზრით ზოგიერთ კატეგორიის პოლიტიკურ დამნაშავეთა რუსეთის მთავრობისათვის გადაცემა ეწინააღმდეგება არა თუ ბავარიის, არამედ საზოგადოთ ნემცების უფლებრივ შეგნებას. 1885 წ. მთელმა ხალხმა წინააღმდეგობა გამოსთქვა ასეთი ხელშეკრულობის შესახებ, ეხლანდელი რუსეთის მდგომარეობა კი, იმის მაჩვენებელია, რომ ამ სახელმწიფოს არ შეგვიძლია შევხედოთ როგორც უფლებრივ სახელმწიფოს. ამიტომ ამ შემთხვევაში მას უფლება არ აქვს უფლებრივ სახელმწიფოსთან კავშირის შეკვრისა. ბავარიამ, როგორც უფლებრივმა სახელმწიფომ ხსენებული ხელ-შეკრულება უნდა გააუქმოსო. ხელშეკრულების გაუქმებას მხარი დაუჭირა სოციალდემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა მიულერმა. მან მეტათ მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა. მინისტრ პრეზიდენტმა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ხელშეკრულობის გაუქმება შეუძლებელიაო: უნდა შეიცვალოს ის პირობები, რომელმაც ხსენებული ხელ-შეკრულობა გამოიწვიაო. დღემდე ბავარიის მთავრობამ გადასცა რუსეთის მთავრობას მხოლოდ ერთი დამნაშავე, რომელსაც სისხლის სამართლის წესით ედებოდა ბრალიო. ამასთანავე მინისტრმა აღუთქვა, რომ დამნაშავის გაცემის დროს უსათუოდ ხალხის უფლებრივი შემეცნებით ვიხელმძღვანელებთო. ცენტრის ორატორმა გეიგერმაც ილაპარაკა ხელშეკრულობის წინააღმდეგ. მან სიტყვა-სიტყვით იგივე საბუთები მოიყვანა, რაც ამ 24 წლის წინეთ მოიყვანა ხელ-შეკრულობის გასაუქმებლათ. ამის შემდეგ სიტყვა ისევ მინისტრმა აიღო და სთქვა, რომ კონსტიტუციის ძალით პალატას უფლება არ აქვს ასეთი კითხვების გარჩევისო. მინისტრის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა პალატის თავმჯდომარემ ორტერერმა, რომელმაც განმარტა: პალატას სრული უფლება აქვს ასეთი კითხვების გარჩევისა და რომ არ ჰქონოდა უფლება, არც დღიურ წეს-რიგში აღნიშნავდაო. (რ. ვ.)

## წერილი რედაქციის მიმართ

დაგვიანებული პასუხი «მუშათა ერთი ჯგუფის» პასუხზე (იხ. ჩანგი № 12)

„მუშათა ერთმა ჯგუფმა“ გაგვცა პასუხი და თავის მხრივ შესწორებები შეიტანა ჩვენ საპასუხო წერილში აღნიშნულ ფაქტიურ შესწორებაზე. (იხ. „ჩვენი აზრი“ № 48).

„მუშათა ერთი ჯგუფი“ თავის პირველ წერილში ამბობდა: „იყო ისეთი შემაძრწუნებელი ფაქტი, როდესაც მუშები სთხოვდენ ხაზეინებს არ ამუშავებიათ როტშილდთან ორი ნაყიდი სტანოკი, ვინაიდან ეს ამუშავება გამოიწვევდა ორი ახალი მუშის დაქირავებას. მუშები თვითონ იღებდენ თავის თავზე ზედმეტ ყუთების გაკეთებას. ამნაირათ, ეს ორი სტანოკი, რომელიც დუქმა პურს მისცემდა ორ უმუშევარს, დღესაც უმოძრაოდ დგანან“ (იხ. „ბატ. ნოვ.“ № 90): ჩვენ ეს ვითომდა „ფაქტი“ ცილის წამებათ ვაღიარეთ და აუხსენით მათ, რომ ეს სტანოკები აუცილებელია როგორც „ზაპასნოი“ და მასზე ახალი კაცის დაყენება ყოვლად შეუძლებელია თქო. რას სწერს ამის პასუხათ „მ. ე. ჯგუფი“? ის გვეთანხმება, მარა არა სრულიად, „ერთი თქვენგანი გაზეთ „ბატ. ნოვ.“-ში აცხადებდა —სწერენ ისინი—სტანოკები ყველა მუშაობსო თქვენ სწერთ „ზაპასნოიაო“, რომელს დავუჯეროთ? ჩვენ გიპასუხებთ: ორივეს დაუჯერეთ. ვინაიდან, როგორც თქვენ ამბობთ, „სიტყვა ზაპასნოი“ ნიშნავს იმას, რომ როდესაც „სტანოკი“ გატყდება ამ მოემატება სამუშაო, მაშინ ამ „ზაპასნოებს“ აამუშავებენ“ და როგორც ასეთი, ეს ორი „სტანოკიც“ მუდამ ასე ასრულებდა თავის დანიშნულებას. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ როცა „სტანოკი ტყდებოდა ან ტყდება მაშინ მუშაობენ „ზაპასნოიზე“ და აგრეთვე მაშინაც, როცა სამუშაოს ემატება *) ეს კი ნიშნავს ყველა „სტანოკების“ მუშაობას — „ზაპასნოი“-საც და მუდმივისაც. მხოლოდ ერთნი მუშაობენ მუდმივათ და მეორენი არა. ამნაირათ, „ბატუმსკია ნოვოსტში“ და ქართულ გაზეთში ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრის იგივეობა ცხადზე უცხადესია.

ახლა გეკითხებით—განა შეიძლება ახალი კაცის მიღება ამ „სტანოკებზე?“ დავუშვათ, რომ კაცი მიიღეს, მერე სად უშვებთ იმას, რომელსაც „სტანოკი“ გაუტყდა, სად გინდათ გააკეთოთ „პრაკი“, თქვენ კარგათ იცოდით აქამდინაც, რომ ახალი კაცების მიღება ყოვლად შეუძლებელი იყო.

ჩვენ შეურაცხყოფათ არ მივიღებთ, თუ ვინმე ამხილებს ჩვენ საკლულოვაებებს, მარა თქვენი პირველი წერილიდან (Б. Н. № 90) ჩანდა, თითქოს ქარხანაში ყველა მუშები, მთელი მასსა იყოს ადგილების გაყიდვის მომხრე, ახალი კაცების მიღების წინააღმდეგი და სხვ. ჩვენ ამაზე გიპასუხეთ, რომ ეს არ არის მართალი, რომ არ შეიძლება ისე ყველა მუშების თავზე ნაგვის გადაყრა, რომ თქვენ ზნეობრივ მოვალეობას შეადგენდა გაცნობილიყავით საქმის ნამდვილ მდგომარეობას და მერე დაგეწერათ. ეს კი თქვენ არ ქენით. ადგილების გაყიდვის შესახებ უნდა ვთქვათ, როცა პირველ რუსულ წერილში თქვენ ყველა მუშებს იყვანდით ადგილების გაყიდვის მომხრეებათ, ჩვენ ამაზე გამოვედავეთ. ეხლა თქვენ შესწორება შეგაქვთ თქვენივე რწმუნებაში, იხსნებით რა არა ყველა მუშებს, არამედ მათ დიდ უმრავლესობას.

თქვენი საქციელით, არ ვიცით რის გამო, დაოვური მეგობრობა გაგვიწიეთ, და თავის თავათ დაუშვით პრინციპიალური შეცდომა. და აი რით. თქვენი პირველი წერილი დაისტამბა სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენსა და ხაზეინს შორის კონფლიქტი იყო ჩამოვარდნილი, მაშასადამე, დაწყებული იყო ბრძოლა. აი ასეთ დროს გამოდიხართ მუშათა სახელით და იბეჭდებით ჩვენი წინააღმდეგ მერე ისეთი გაზეთის ფურცლებზე, როგორიცაა „ბატუმსკი ნოვოსტი“ ცნობილი ბურჟუაზიული ქამელეონობით და უპრინციპობით, რომელმაც ამ ბოლო ხანებში ბევრს პალმის ტრადიციებს ხორცი შეასხა და ამით ღირსეული შვილი ხდება თავის მშობლის. ვიმეორებთ, სიხარულით მივეგებებით კრიტიკას, მარა მიუდგომელს და არა ცალმხრივს, კრიტიკას დრო და ადგილის შესაფერათ წარმოთქმულს და დაწერილს. თქვენ მიერ ამორჩეულმა დრომ კი ჩვენს გასამათრახებლათ ზურგი გაუმაგრა ხაზეინს „ბატუმ. ნოვ.“-ის საშუალებით და თქვენი კალმით ხაზეინმა თავის სასარგებლო ატმოსფერა შექმნა საზოგადოებაში.

თქვენ სწერთ: „მუშათა ერთი ჯგუფის ახლო მდგომმა პირებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ თქვენ ან ქარხანაში მოგეყარათ თავი, ან-და არა დაინტერესებული პირები აგერჩიათ წერილის გასარჩევათ, მარა ჩვენმა ცდამ ამაოთ ჩაიარაო. გარეშე მდგომს მართლა ეგონება, რომ ეს მართლა ასე იყო, მარა ეს ასე არ იყო. არ ვიცით რას აპირებდით თქვენ მაო, ხოლო ის ახლო მდგომარე პირები ისე გვხვდებოდა, რომ მათთან არავითარი სერიოზული საქმის მოთავის თავება არ შეიძლებოდა.

ამნაირათ თქვენი, პასუხი თავიდან-ბოლომდე ან უარყოფაა პირველის წერილის, ან განმეორება ზოგიერთი დებულებების. თქვენ ცილს გვწამებდით; როცა ამბობდით: ორ „სტანოკს“ ტყუილა აჩერებენო, თქვენ სცდებით, როცა პირველ წერილში ყველა მუშებს აბრალებთ ადგილის გაყიდვის მომხრეობას. თქვენ უსამართლოთ ჩირქს გვცხებთ, როცა საერთოთ მუშათა ინტერესების ფეხ-ქვეშ გამთელათ გვნათლავთ, როგორც გავარკვიეთ, პირველი თქვენი წერილი იმდენათ სუსტი გამოდგა, რომ მეორე საპასუხო წერილში იძულებული გახდით თითქმის ყველა კითხვაში უკან დაგეხიათ, მხოლოდ ის ვეღარ მოახერხეთ, რომ თავის იშეცდომა გეცნათ.

ამნაირათ, თქვენც ხედავთ, რომ თქვენს წერილზე დათანხმება არ შეგვიძლია. სიამოვნებით გამოვცხადდებით სამედიატორო სამართალში. რაც შეეხება თქვენს სურვილს იმის შესახებ, რომ მუშები იქნან მოსამართლეებათ, ამაზე მოგახსენებთ შემდეგს: ჩვენ არავითარი საწინააღმდეგო არ გვექნება, თუ მუშები იქნებიან, მხოლოდ ჩვენი სურვილია არჩეულ იქნას შეგნებული ამხანაგები, გინდ მუშა, გინდ არა მუშა—სულ ერთია.

სიდერიდის და არტვანიდის ქარხნის 27 მუშა.

*) მაგ. ეხლა მუშაობა მომატებულია და ეს „ზაპასნოები“ მუდამ მუშაობენ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


# განცხადება

ექიმი

# პ. არდაზიანი

ბავშვების და შინაგანი ავათმყოფ.

კუთხე მელიქოვისა და ალექსანდროვის ქუჩისა ინტენდანსტვოს პირდაპირ. მე-9 უჩასტკა: დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდის.

Уголъ Меликовской и Александровской ул.

(0—10)

## მსურველთა საყურადღებოთ

არა ერთხელ და ორჯერ დავუფიქრებივარ ზოგიერთა შეგირდების მდგომარეობას, რომელნიც უდგებიან ხაზეინებს ოთხი ხუთი წლით, რომ შეისწავლონ საპარიკმახერო ხელობა, მაგრამ ხშირათ კი უფრო მოტყუებული რჩებიან, რადგან ხაზეინები ვერ უდებენ გულს, რომ დააკმაყოფილონ მოსწავლეთა სურვილი. ამის გამო დიდი ხანია აღმეძრა სურვილი დავაარსო კერძოთ საპ რიკმახერო სასწავლებელი, რომელშიაც მოსწავლენი მთელ კურსში გაივლიან 35 ნაწილს (საგნეს) მოკლე დროთი და ხალხისაწდომ გადასახადით, რათა, გაუმჯობესდეს ჩვენი ხელობა და დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა წყურვილიც.

განმიხორციელდა დიდი ხნის სურვილი და მივილე ნებართვა დავაარსო სასწავლებელი და განვიზრახე დავიწყო მოქმედება ამა ღვინობისთვის 30 რიცხვიდან თუ მოსწავლეთა რიცხვი ათს აღემატება. მსურველთ შეუძლიან მოითხოვონ პროგრამა, რომელშიაც აღნუსხული იქნება ყველა სამუშაო ნაწილი—35 (საგანი), დრო კურსისა და გადასახადი.

ადრესი: მე-9 ნაწილი, არხიპოვსკი ტუპიკი. დ. ი. გაბრუაშვილი, საკუთარ სახლებში.

დ. ი. გაბრუაშვილი.

2—1


სტამბა ამხ. „შრომა“. რუსის ქ. № 3